სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59884971442826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260630986

რეგისტრაციის თარიღი

15.05.2026 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ჯელაძე
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2
ტელეფონი: 2434380

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასოცდაექვსი წლის თხუთმეტ მაისს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 49-51-51ა, სართული 2, მომმართა **რამაზი მაღრაძემ** (დაბ. 04.01.1993წ. მცხ. თბილისი პეტრე გრუზინსკის ქ. N 3ბ, პირადი #01019073256). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე აქტი და წავუკითხე მხარეს. მხარემ წაიკითხა აქტი, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

რამაზი მაღრაძე, შემდგომში „მიმწდობი“ ენდობა **სალომე სვიანაძეს** (დაბ. 08.05.1995წ. პირადი #01019075333), შემდგომში “მინდობილი პირი” და ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს „მიმწდობი“-ს წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობებში) და მის სამსახურებში (არქიტექტურის სამსახურებში, ზედამხედველობის სამსახურებში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ქონების მართვის სააგენტოში, ურბანული განვითარების სამსახურებში, იურიდიულ სამსახურებში და სხვა), აგრეთვე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში, საარქივო დაწესებულებებში, საქართველოს იუსტიციის სახლებში, საამზომველო კომპანიებში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ბუნებივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ქალაქის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის სამსახურებში და სხვა.

“მინდობილი პირი” უფლებამოსილია დამოუკიდებლად მართოს „მიმწდობი“-ს კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე: **ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, „ქედის ბოლო“** ს/კ **01.72.14.056.021**. “მინდობილი პირი”! უფლებამოსილია აწარმოოს „მიმწდობი“-ს საქმე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი/აშენებული შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა, პროექტში ნებისმიერი ცვლილების განხორციელებასთან, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან, შენობის ვარგისად აღიარებასა და ექსპლუატაციაში მიღებასთან, მისასვლელი გზის (ღობის) მოწყობასთან, აგრეთვე მშენებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია აწარმოოს პროცედურები მიწის ნაკვეთების ფუნქციის/დანიშნულების შეცვლასთან და/ან გამიჯვნა/გაერთიანებასთან, დაყოფასთან, გამიჯნული ნაწილის მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან მიერთებასთან, ფართობის დაზუსტებასთან, საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით. იგი უფლებამოსილია შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ნებართვები, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, წარადგინოს და მიიღოს პროექტი და სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია, ჩაიბაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებები, ნახაზები, შეასრულოს ელექტრონული ხელმოწერები, ატვირთოს დოკუმენტაცია მერიის ელექტრონულ საიტზე, გამოითხოვოს და მიიღოს „მიმწდობი“-ს კუთვნილი ნებისმიერი დოკუმენტი ნებისმიერი უწყებიდან, დაარეგისტრიროს უფლებები და/ან ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში, აგრეთვე მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან. მინდობილობა ძალაშია 2027 წლის 15 მაისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძის, სანოტარო არქივში.

გადახდილია 26.24 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 18.00 ლარი, დღგ 3.24 ლარი და სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

რამაზი მაღრაძე

ნოტარიუსი ეკატერინე ჯელაძე